

ବୀର୍ଦ୍ଧ. ୩୩. ୬୩

୨୦୬୯

ହତେବୁ କଥାର୍ଥ୍ୟ

8

୩୩୦୩୦୮୦

1939

ჩვები თაობა

საქართველოს სამჭოთ მწერლების
კავშირის ყოფილთვიური ორგანო

12 484

8



სახელმწიფო გამოცემლობა

ტყილის

1989 წელი. აგვისტო

၁၀၅၁၄၆၆၀

ဆန်ဒေသလူ လုပ်ခနာတိုင်

33-

ကရှုဂ္ဂလဲ အပာမိုင်း — ဂုဏ်စွဲလူ မြှုပ်ဖော်ရီး နှလျှုံ့မိုး	3
ဒာပရို့လဲ ဇာပုံးမြှုပ်နည်း — လူလုလေ	4
အနဇ်ရဲ ကျော်ခိုင်း — ဥက္ကာ	5
ဒေါ်လွမ်းရ ဗုဒ္ဓလာဒာ — လျှော်ဝေး ပုံနှိပ်များ	6
မိမ်စာ ဂျော်ဒာန်း — စွာနှုန်းရီး	7
ကျော်မြန်တဲ့ ဂုဏ်စွဲ — ဗျော်လှုပ်စာ စာစာရှုံး	8
မူလာဒေ နာသုက္ပာ " — နှုပ်ဖော်ရီး (တန်ခိုက်မြန်တဲ့ မူလာဒေ၊ နေမြန်၊ နိုးနှုန်း၊ နှုန်းမြှုပ်နည်းများ)	
၈။ အပာမိုင်း၊ နေမြန် နိုးနှုန်း၊ နှုန်းမြှုပ်နည်းများ မြှုပ်နည်းများ)	21
၉၊ နိုင်း — ပုံပုံများ နှုန်းမြှုပ်နည်း	29
နှုန်းမြှုပ်နည်း — လျှော်စွဲအတွက် လုပ်နည်း (တန်ခိုက်မြန် နှုန်းမြှုပ်နည်းများ)	42
ကမ်းကြော	
၂၇၊ အပြောပြာဖြစ်ရှုံးမှု — လျှော် နှုန်းမြှုပ်နည်း	44
ထိုးလောက်မှုမြှုပ်နည်း	
၃၈၊ မြေပျော် — ၁၊ ကရှုရာမြှုပ်နည်း ၁. အပေါ်ကို လျှော်ပါး; ၂. ဆုပေါ်မြှုပ်နည်း	63

ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ လုပ်ရန် ပေါ်လုပ်ရန် အပါးရှုံး

ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ လုပ်ရန် ပေါ်လုပ်ရန် အပါးရှုံး

ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၁၄/IX — ၃၉ ဗ. ပေါ်လုပ်နည်းများ လုပ်ရန် ၂၃/X — ၃၉ ဗ.
ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၂၀၁၀ ၇၅ X 105. ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၇ X ၁၁၂။ ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၁၁၀။
ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၂၁၈၀. ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၂၇၃၇။ ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၁၈၅၈. ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၃၅၀၀.

ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ပုံးပုံမြှုပ်နည်းများ ၂၁၅၀.

მხატვრული იუტებიაზურა

თხითოლ აგაშიძე

გაზაფხული სცენენტია ქალაქში

უკანასკნელიც ჩაქრა სანთელი,
გაპერა შუქი და ჩაბნელდა ბინა,
ღიმისმთეველი უკანასკნელი
მოშორდა წიგნებს და ჩაეძინა.
ნაშუალამეეს, თუ უფრო გვიან
მოვიდა მთვრალი და ღვინისფერი,
მას კართვანჯრები არ გაულია,
არ აუხდია სახლისთვის კერი..
არ შეხვედრიან პურით და ღვინით,
არც შეუნიშნავს შენობის დარსებს,
გაზაფხულს ეცვა უჩინმაჩინი
და სახლში ჩუმად შემოიპარა.
მშვიდად ეძინა ვაჟების ოთახს,
ქალების ოთახს ეძინა ვეერდით,
მათ ერთმანეთი აღარ ახსოვდათ,
თუმცა ვალარა არ იყო ერთოც.
მავრამ გაუკერთათ ჭიბუქებს ძილი,
ქალებს ენიშნათ სიზმრადნახული,
მოუსევნარი და გულკეთილი
არ ანებებდათ ძილს ვაზაფხული:
დილით ფანჯრები გააღეს ფიროვდ,
თითქო პირველად ნახეს ქვეყანა,
ეზო კვლავ იყო უიავიროვ,
გაზაფხულს მწერე არ მოეტანა.
მავრამ გაუშლელ ფოთლების შრიალს
გრძნობდნენ და თითქო ამინდს წაბაძეს,
გრძნობდნენ ძალვებშიც, გრძნობდნენ სისხლშიაც
ახალგაზრდობას და სიზარმაცეს.

გაბრიელ ჭავჭავაძეს

ი ა ღ ა ღ ი

ხ ე ტ ი ჭ ა რ შ ი

დაპექოლა ქარმა ზათქით, ქამანჩით,
აავსო ხევი ხმიერი ზელით;
ხავსიან მუხებს მოსლოთ ქამანდი
და ახმანდნენ ხნიერი ხენი.

პატარა ვერხვთან მდგომი, — ხარივით,—
აყვირდა ერთი მოხუცი მუხა:
„— მომებმარევით... მომებმარევით!..“
შეირხა... მოსწლტა... და დაიქუხა...

ვერხვი კი ნორჩი, — იხრება ჩეკალად
და გამუდმებულ შრიალს არ იშლის;
უნდა გაღიქცეს ზეცა გრიგალად
მას არ აქვს შიში შფოთის, ქარიშხლის.

დ ე დ ა შ ვ ი ლ ი

გუშინღამ ფარებს დაეცა მგელი,
ატყდა ყიფინა და შეკხადება,
მეხმა დედა ცხვარს დალაზრა ყელი
და ერთი კრავი მოკლა თარიებით.
დასტოვა ასე — სკის გამრუდებამ —
ცხვარი უშელოდ, ქრავი უდედოდ:
ბლოოდა ლამით ობოლი კრავი,
უბმობდა ცხვარიც დაკარგულ ბატყანი;
ბოლოს მიწერახდა, ხმა — შემზარავი
და იალალზე სიჩუმე დარგა.
დილით წამოდგნენ მწყემსები ურვით
და სიხტიდ დარჩა უკვლი მათგანი.
უშვილო შავ ცხვარი ეშვილა, თურმე,
ფათმლუბული თითო ბატყანი.
იმ დღეს თხინვებ სალამო ხანზე
ფარების ბაზე ისილეს ტყავი,
შეშინდა ცხვარი, — გავარდა ვანზე
რა გაოცემით შეწერდა კრავი.

ანდრი თევზაბე

კ ი ც რ ს

უხსოვარ ღროდან გიმლერდა ჲალბი,
გრძელი შაირი გითხრა ვაუმაც,
მავრამ რბოლმა ვერსაიო ნახე
ბედი, რომელიც შენ გაქვს ამუამად.

სახლში ვებრძოდა დედინაცვალი,
სახლგარეთ ვსდევდა შიში და ძრწოლა!..
ბოლოს შეგაშრა ცრემლების ცვარი.
ჭაბუკ მეფეს რომ გაჰყევი ცოლიდ.

მავრამ ჭიმტყუნა ბედმა ცბიქრმა
და სიყვარულში ჩაქსოვეს გესლი!..
შენ დაგრძირა მშობელმა ერმა
და სიბრალულის გიმლერა ლექსი.

მას შემდეგ ბევრი წელი ჴავიდა,
ლრუბლებმა ბრძოლით დატოვეს სიერცე,
ცხოვრება მოდის სხვა სათავიდან,
და მზეს ახალი სინათლე მისცეს.

როცა ვიგონებ ეთერის წარსულის,
გუმანს ვეძლევე შენი მნახველი,
რომ შენ, ბედნიერ ეპოქის ასული,
გქვია საბრალო ქალის სახელი.

მაგრამ მეონია, რომ ეისმენ შენს ხმას,
ივი ეთერი ამდგარი მკვდრეობით
დაწაუებია ცხოვრების ახალს
და დედის სახელს ატარებს მექრდით.

გმირებს დაუზირის საშმობლო მხარეს,
რომ „ქართვლის დედა“ ვახდეს ეთერი.
წეტავი იმას, ეისაც ახარებს,
შენი ტოლობა ეისაც შეცვერის.

შე კი ბუნებამ ხელი დამრია,
ამ ვამეტა ჩემთვის წყალობა,
ამ შემახვედრა შენს თავს აღრიან,
რომ გაემხდარიყვა ადესალომად.

ვლაშიარ უბილავა

ღელვას პობოქას

მუდამ მაკვირვებს ტალღების მტვრევა,
ჯერ კიდევ უმაწვილს მივლია გემით.
ღელვას ბობოქას, სალამი ჩემი,
ზღვაო, დღეს შენი გუგუნის ტყვე ვარ!

ხშირად, როდესაც ღველფი დაისის
აიხვეტება უჩინარ პეშვით,
მწუხარი გიშჩისურად ჩაწვება მთებში.
და მთვარე დგება სიდარბაისლით, —

ასე მგონია, მძლავრი ხომალდი
მომაფრენს პონტოს ამტყდარ ტალღებში,
პოსეიდონი მოგვსდევს თარეშით,
მაგრამ ქას დასცემს ლონე ფოლადის.

კუახლოვდები დღევანდელ ფაზის,
კოლხეთს — ოქროვან მატყლით შეფერილს,
ო, სიმღერები მათზე შემთვერის
და მგზავრს მეხოტბის ელფერი მაზის.

და წინ ატყდება ტალღების მტვრევა,
დგება და სხლტება ზეირთების თაქემი...
ღელვას ბობოქას, სალამი ჩემი,
ზღვაო, დღეს შენი გუგუნის ტყვე ვარ!

ფ ა ნ დ უ რ ი

ჩემს სვან წინაპართ ჰყვარებიათ ლარების უღერა,
მაღალ ხევსურეთს ფანდურები თალეს მოებური.
სამეგრელოში სიმის კვნეს გულს ატებობს ჯერაც
ყირძიზა გოგოს მოქანილთან შეერთებული.
იყო რუსთველი; და სამშობლოს სტოვებდა როცა,
ესმოდა მიწას გულმართალი მისი გალობა.
გამგზავრებისას დედოფალმა გზა დაულოცა;
საქართველომ კი ფანდურების ხმა უწყალობა.
თუ გურამიშვილს არ გაუწყდა არცერთი სიმი,
ვაუს ფანდურიც მინდის მოჭრილ ხისგან გათალეს.
როცა უკრავდა მარად დინჯი და მოთვალთვალე,
ყურის საგდებად იხრებოდა მყინვარი ცივი;
აი, აწყვია ჩვენს წინაშე დადაფნულები
ვის შეელიოს, დრომ ვინ გარიყოს?!
ხომ იყით ხალხის გულებია ეს ფანდურები,
შევეხოთ ისე, ჭუჭუიანი ხელი არ იყოს.
შევეხოთ მაშინ, როცა გულში ვიგრძნოთ ჩანჩქრებად
სიმღერების და ლექსთამრავლობა.
რომ იმ ფანდურებს, ჩვენს სახსოვრად ხალხს თუ დარჩება,
მოქრძალებულად უცქიროდეს შაამომავლობა.

სიყვარული სიხარული

აყვავებული ტყემლის ხეებს თითქოს გრიგალმა გადაუჭროლაო, ისე წა-
მოვიდა დასავლეთიდან თოვლი და სადილობამდე მიღამო გადაათეთა. აბა-
რა უგონათ ტყემლებს, თებერვალში რომ კვირტები გამოისხეს და გაჭა-
ლარავდნენ?

თეოზიბერეტიანი გოგონა სანქრეში შემოვიდა, მხრებიდან თოვლი გა-
დაიბერტყა, პალტო გაიხადა, იქვე სკამზე გადაფინა და ნერგებს, როგორც
ყოველთვის, ახლაც მზრუნველი თვალი შეავლო.

— ბიძია იაგორ, წელს სუსხი არ მოგვიქერსო, გვარწმუნებდი, ახლა, ახი
არ იქნება, თოჭლში გაგავოროს კაცმა! — მიკმართა მან მოხუცს, რომელიც ჩი-
ბუხს ისე ქახავდა, რომ თავი სრულებით არ უჩანდა, კვამლში გახვეულიყო.

— კი, კი იქნება ახი, მაგრამ ახლანდელ თოვლს რა ძალა აქვს? ხვალ
შე გამოაყიდებს და წყლად იქცევა.

— ყინვამ რომ მოუქიროს!

— მეტე რა, ჩვენი ნერგები მაინც გაიხარებენ.

ენერგოულად ტატანებდა მოხუცი და ხელს ხშირეშირად ისეამდა მელოტ
თავზე, რომლის შავი ძარღვები ისე იყო ამობერილი, თითქოს წურბლები
ასევიათ. მოხუცს ჩვეულებად დაჲყვა თავზე ხელის ფათური, თუ არაფერს
აქმიანობდა, იმით ერთობლიდა. ასეთი ჭუვით ის ორი ღერი თმაც ჩამოყარა,
რომელიც სიბერებ უკრებოთ და კეფაზე დაუტოვა. სრულიად ტიტველ თავ-
ზე სიუიკეს არ გრძნობდა და ეს თეოზიბერეტიან გოგონას იოცებდა.

ნასაღილეეს გოგონას ამხანაგები მოუკიდნენ და მალე აგრონომმაც შე-
მოალო ჯარები. ახალგაზრდა აგრონომი შეუდგა გაქეეთილის გადაცემას-
კოლმეურნე გოგონები ნერგების გამოყვანას სწავლობდნენ. ოთახში მანდარი-
წის, ლიმბისა და ფორთობლის ნედლი სურნელი ტრიალებდა. გოგონები
აგრონომის ახლოს ისხრნენ, ახალგაზრდა კაცი იმათი სისხლოეით იშმუშ-
ნებოდა.

მოხუცი, თუმცა უკის უგდებდა აგრონომის საუბარს. შაგრამ გულში
კი ფიქრობდა; ჩემს ახალგაზრდობაში გოგონები ასე რომ შემომხვევოდნენ,
ალბათ, გავვიდებოდით.

ტრიალისტი მიტო თურმანიძე მოუწიდებლად შემოვიდა სანქრეში
და იაგორის გვერდით დაჯდა. ტყავის პალტო ყოველ მოძრაობაზე კრაკუნ-
ებდა. ის ტფილისიდან ახლახან ჩამოეიდა. მანქანა-ტრაქტორის საღვურმა
დაუჭირავა ოთახი, და ის დამზადდა სოფელში. აგრონომი პავლე გაუქო. ისიც

ჩამოსული იყო და სისაღილოში შეხვდა. ჩალე დაუმეგომძრდა. ახლაც მას ელოდება, საცაა მეტადინეობა მორჩება და სისაღილოში წავლენ. თუმცა თეთრბერეტიან გოგონასკენაც უჭირავს თვალი, რაღაც ყმაწეილეაცს ცეცხლივით მოედო ტრიფილო.

როგორც უცნობმა, სანერგეში შესვლისთანვე გოგონების! ყურადღება მიიღორო. პავლე მეორე ოთახში ნერგების მოსატანად გავიდა თუ არა, ცნობისმოყვარე გოგონებმა ჩურჩული ასტეხეს.

— ვინაა ნეტავი?

— არ ვიცი!

— როგორ არ იცი, ბერა. მიტოს ეძახიან, გუშინ გამაცნო ჩვენმა აგრონომმა! — სოქვა თეთრბერეტიანმა.

— უი, მომეალი ვინცამ! იმიზა იყო, მაკრინია მარჩიელმა ჩვენს უბანს რომ მოსდო, ნინო აბრამიას ვიღაცა კაცი ჩაპოდრუჩებული მისდევდა.

— ჰო, ის ჭორივანა ისა, პოლჩუჩეი კი არა, რიგიანად ხელიც არ ჩამომირთევია. — ნინომ ძალუნებურად გადახედა მიტოს. ტრაქტორისტი თუ-თუნს ახვევდა და გოგონების ჩურჩულისა არა ესმოდა აა. ნინომ მცირე ხნით შეაჩერა თვალები მიტოზე... და ხელებში იმისი ხელის სითბო იგრძნო. მკლავის გაყრის რა მოგახსენოთ და მიტომ, გამომშვიდებისას, ნინოს თითები კი აუტკაცუნა.

აგრონომმა უკანასკნელი ნერგის მღვმარეობაც გააცნო გოგონებს და ამით დაამთავრა დღევანდელი მეცადინეობა.

გარედ ისევ თოვდა. სანამ გოგონები პალტოებს ჩაიცემდნენ. აგრონომი და ტრაქტორისტი გარეთ გამოვიდნენ და თავდალმართის ბილიკზე დაეშვნენ, მაგრამ უცებ გაიტეარუალს გოგონებმა და მაღლობიდან თოვლის გუნდები ტყვიასავთ წამოვიდა. ყმაწეილეაცები დაიბნენ, ვერც გაქცევა მოახერხეს; ვერც მაღლობზე ამოსელა. კივილ-კისკისზე სანერგელიან იაგორსა გამოვიდნა. თოვლში ხელები დაპრია და გოგონებს ზურგიღან ისეთი გუნდები მიახალა; დამტრატხალები თავდაღმართზე კისრისმტკრევით დაეშვნენ.

— ჰო, თქვე გასაწყვეტებო, თქვენა, რომ გაგახურათ ამ ყინვაში! — ბობიოხებდა იაგორსა და თოვლის გუნდებს წარსმარს ისროდა. — ესეც შენ. ესეც... — გახურდა მოხუცი. გაუტება ახალგაზრდებითან თოვლაობა.

აგრონომმა თავს უშეველა. ხიდის გადაღმა გადავიდა და შორიდან უყურებდა ტრაქტორისტის გაწამაწიას. მიტოს ტყავის პალტო მხრებში უქერდა და სწრაფი მოძრაობის საშუალება რომ არ გააჩნდა, თავდაცვაზე გადავიდა. გოგონები უტევდნენ და უტევდნენ...

— უი, ბერა, ნუ მოკალით კაცი, დაანებეთ თავი! — გაქარიდა ნინო და ჩოფურის გოგოს, უკელაზე მეტს რომ ტკრისცებდა, მუჯლუგუნი შესთავაზა. მეზე გათოლელი თავიები ჭირში ჩაიდო და სული შეუბერა.

მიტომ გაიგონა თუ არა ნინოს ხმა, დაიმედებული წამოდგა.

— სხვებს რომ უჯავრდები, შენც ხომ ისროდი, შენმა გუნდამ ვული ჩამინგრია. მაგრამ არა უშავს! — ლაპარაკობდა შიტო და თანაც იბერტყავდა პალტოზე მიერულ თოვლს.

მოხუცი სანერგეში დაბრუნდა. ცეცხლი გააჩალა და ისევ ჩიბუხის კვამლში გაეხვია. ნანობდა, ახალგაზრდა არა გარო.

— გოგონებო, წამოდით, ამ ხევში ხომ არ გინდათ გაათენოთ! — გაღმი-
დან დაიძახა პავლებ.

— ჰაა სად ყოფილა თურმე, — იგრიალეს გოგონებმა და აგრონომი წინ
წაიგდეს. იმათი საზემო ხარხარი მოხუცმაც გაიგონა, მაგრამ დაენანა აგუზ-
გუზებული კერიას მიტოვება.

ყინვა თანდათან უკერდა. შეციებული ძალლები წაწყანებდნენ. მიტო და
ნინო ჩამორჩნენ ამხანაგებს. მიტო ხმამაღლა სუნთქვდა, თოვლაობისგან
აფორისებული გული ჯერ ვერ დაემშვიდებინა.

— მცლავები დამწყდა, ამდენი რომ კოლმეურნეობაში შემუშავნა, ორ
შრომა-დღეს დავიწერდი. — დუმილის შემდეგ წარმოსთქვა ნინომ.

— ბეკრი გუნდა მესროლე, არა?

— რატომძაც არა, მაგრამ თოვლში რომ ჩაეფალი, შემეცოდე.

ვამშობამდე საუბრობდნენ. ახალგაზრდული ოცნებით გატაცებულნი
ვერსავითარ ყინვას ვერ გრძნობდნენ... გვიან, ელექტრონის შუქი რომ ჩაქრა,
ნინოს შევზინდა.

— მეტს ნუ მაცილებ, ახლოსა ვარ, გაგვეორევენ... მშვიდობით!

გამომშვიდებისას მიტომ ხელი ხელზე მოუკირა ქალს და სწრაფად
მიიზიდა.

— უი დედა!

ნინო უცებ განზე გადახტა.

— კიდევ შეკვდეთ.

— არასოდება!

და ქალი გაიქცა.

— ნინო, ნინო! — მიტოს ძახილმა სიბნელე შეაზანზარა.

ტრაქტორისტი თოვლში ძლივს მიკვლევდა გზას. მოქანცული მოვიდა
შინ. დიასახლისს თთახი საგანგებოდ გაეთბო. მიტოს სხეულში სითბო რომ
გაუჯდა, ჩასთვლიმა, მაგრამ სამუშაო ჰქონდა, მორეულ ძილს თავი დააღწია
და ტრაქტორისტის დაზიანებული ნაწილების სია, ნაგლეჯ ქაღალდებზე რომ
ჰქონდა ჩამოწერილი, დად წიგნში ვაღაიტნა, მერე დახარჯული ბენზინიც
გამოიახვიათა და მამლების პირველ ყივილზე ლოგინში ჩაწეა. ბუხაში კო-
ნიტი ვუზვუზებდა და ხანდისხან ისე ატყაცუნდებოდა, თოჯოს ტრაქტორის
საკისერს ბენზინი უწევთუდა.

მიტო საბანში გაეხვია, მაგრამ არ დაეძინა, ნინოზე ფიქრი მოეძალა.

— კარგი ქალია... ვუმინაც ჩემთან იყო, დღესაც ერთი ორჯერ კიდევ
შეკვდები და მერე შევირთავ! რატომაც არა! ჩემს ამხანაგებს თროირი და
სამსამი ბლოტი ჰყოვთ, მე რა დავშავე, კარგი ქალია, ტყუილად კი არ ეძა-
ხიან „გლეხის იმედის“ თვალს.

უძირობოსაც მოთვითილს და ფიქტიბისგან დამტკიცებულს მამლების შეო-
რე ყივილზე ჩაეძინა, მაგრამ ძილშიც ჩატყვა ნინოზე ფიქრი.

თოლით, როგორ მიტო თოტაბიძემ ვიღოვიდა, ქუჩაში მოციგავე ბიჭების
ტრანსტრანსის სახეზე ქარხნის ხმაურს აღემატებოდა. ტრაქტორისტმა ტანთ
ჩაიცეა, თვალზე გამოვიდა, ნიმძინარევი თვალები თოვლს ვერ გაუსწორა.
ჩადგინ სუსივე იყო, მიტოს გაღაწეულებილი ჰქონდა წვერი ან მოექარსა, მაგ-
რამ მდგრადი პირიაპინ საპარემაზეროსკენ წავიდა. წვერმაშვებული
ნინოს როგორ დაეხახებოდა. ქალი ისედაც გამრაზებული იყო.

ჩემი სოფლის დაღაქებმა ზეპირად იციან „ქვეყნის“ ამბები. სოფლის ხომ იციან და იციან. ისინი არც კი დაფიქტდებიან, ისე ჩამოგიყავლავენ: სოფელში ვინ ვის უყვარს, ვინ ვისწერა გაბურული, ან რომელმა ქალმა რამდენი შრომა-დღე გამოიმუშავა. სულ სხვებზე ლაპარაკობენ და ხშირად თავიანთი სამართებლის გალესვა კი ავიწყდებათ.

მიტო საღალაქოში რომ შევიდა, ოსტატები ბუხარს უსხდნენ და ტები-ლად საუბრობდნენ. ერთ ახალგაზრდას წვერ-ულვაში მოეპარსნა, პირსახეზე ბლომად პუდრი მიეყარა და ახლა სარკესთან ქოჩორს თავის ყაიდაზე იყენებდა. ეს იყო კომერატივის ნოქაზი ბუხუტია, რომელსაც დოლის დაკერაში ვერავინ სჯობნიდა. კაცმა რომ სოქვას, სიმღერას კარგი იკოდა. მისი ოდა საღალაქოს მაღლიდან დაცურუებდა. ფული ხელის ჭუჭყია... რასაც შესვამ, ის შეგრჩებაო, გაიძახოდა და ჩერკონცებს არ ზოგავდა.

— კამს, ბიძია კამს! — ამბობდნენ მეზობლები. გუშინწინ რაიონიდან ჩამოსულმა ბუხპალტრებმა კოოპერატივს უეცრად ჩევიზია დაარტყეს, მაგრამ ბუხუტია წმინდად გამოვიდა და ახლა გამარჯვებული საქორწილოდ ემზადებოდა.

ერთმა დაღაქმა, თავზე ყვავის ბუდესავით დაბანძული ქოჩორი რომ ედვა, რაკი უცხო მუშტარი დაინახა, ბუხუტის სიცილით უტხრა:

— გეყოფა, ბიძია, ნინო ბარამია მაინც არ დაგიწუნებს.

— რა მაქვს დასაწუნი!

— ახა, კაცო, ისე ვსთქვი, თორემ, რა გაქვს დასაწუნი! — ნინო ბარამიას ხსენებაზე მიტოს უმალ გუნება შეეცვალა. ქუდი მოიხადა, სკამზე ნელა დაჯდა, ოსტატმა საბორი ააქაფა. ბუხუტია გარეთ რომ გამოვიდა, დაღაქმა ისევ განავრდეს ლაპარაკი.

— ირთავს კაცო, ირთავს, მერე რა ლამაზი ქალი უვარდება ხელში!

— თვითონაც კარგი ბიჭია. ქვას რომ ხელი მოუჭიროს, თავლს ვამოადენს.

დაღაქმა სამის წასმა გაათავა და გადაჭირებული მოკრძალებით მიტოს ჰეთხა:

— ვისი სტუმარი ბრძანდებით, ბატონო?

— ემტესის.

— პო ძალიან კარგი! — და ლოყაზე სამართებელი ჩამოსუსვა, მაგრამ ოსტატი მიტოს ყვირილმა შეაკრთო.

— უი მეტყნობა, კაცო, დამაწიწენა...

— რას ამბობ, ძმობილი ამ დოლით გაელეს! — ამ სიტყვებით დაღაქმა ზეთით გამოხილ ლველზე აუსვ-დაუსვა სამართებელი.

— ახა, ბატონო, კარგი და სტრი. ასეთი დანა ჩემს რაიონში აჩურო ისტატს ახა აქვს. ფოლადისა, ძველებური ფოლადის.

— პო, ფოლადის რომ არის, აღმათ იმიტომა თვალებიდან ნაპერწკლები მაყრევინა. — მიუვო ტრაქორისტმა. დაღაქებს გაუცინათ, მუშტარმაც უგრ-ლოდ გაიღომა.

საღალაქოდან გამოსულ მიტოს მარცხნა ლოყაზე ორი ჭრილობა აჩნდა, სიციე რომ მოვკლა, უფრო დაეწვია. მაგრამ ამ ჭვეყნის ამბების მცირებე დაღაქებმა მას გულზე მეტი ჭრილობა მიაყენეს.

„...გაშ ასე, ნინოს ბუხუტია აზთავს.“ — ამაზე ფიქრმა სულ ააფორიაქა ყმაწვილი კაცი. უეცრად გადაწყვეტა ენახა ნინო, მაგრამ რა უნდა ეთქვა. ქალს ვინც უყავრდა, მას გაჰყვებოდა.

— ეშმაქსაც წაულია, მოღი ახლა და თავი იმტკრიე! — მიტო ტრაქტორის საღურისკენ წამოვიდა. იქ ამხანავები ელოდებოდნენ. ტრაქტორების საზამ-თორი რემონტის გეგმის შესრულება უნდა შეემოწმებინათ.

— არ ლის ფიქრი... ვერათერს გაეხდები! — დაასკვნა მან და მოუჩქარა ნაბიჯებს.

არ თოვდა, არც ყინავდა, ისე კი სიცივე მძვინვარებდა და, მიტო რომ სუნთქავდა, ორთქლი თვალწინ იყლაკნებოდა.

საღურის ეზოში ბიჭებს ცეცხლი აენთოთ და გულმკერდი მიეფიცხებინათ. თანაც მკლავები გაეშალათ, როგორც ეს. ცეცხლის პირად იციან და ამგარ მდგომარეობაში ისინი საოცრად ჰეგავლნენ ასაფრენად მომზადებულ არწივებს. ბიჭებმა დაინახეს თუ არა ეზოში შემოსული მიტო, ერთმანეთს გადაულაპარავეს.

— მოვიდა ახალი ბრიგადირი! — ერთმა კი, ცეცხლისგან სახე შებრა-წული რომ ჰქონდა, „სიძეო“ დაიყვირა და, შემდეგ რომ არავერა შეემჩნიათ, სტვენა დაიწყო. მიტო პირდაპირ კანცელარიაში შევიდა. სახეაწითლებულმა ბიჭმა სტვენა შესწყვიტა და ამხანავებს უთხრა:

— ჯერ ჩვენთან თითო თითზე არ შემოუკრავს და გოგონებში კი გა- ერთო. წუხელის ნინოს უმტკიცებდა, თოვლი თეთრიათ.

ბიჭებმა კი გადაიხარხას, მაგრამ სახეაწითლებულსაც არ დაკლეს მათხასი.

— ალექსი, იცი რა გითხა, ბრიგადირობიდან რომ მოქსნეს, იმისთვის კბილი ნუ ჩასვე მიტოს, არ ვარგა, ბიჭო, ინტრიგანობა.

• ალექსის მტკიცან აღვილზე მიარტყეს. ნეტავი ხმაც არ ამომელოო, და გაჩერდა.

მიტოს დირექტორის კაბინეტში ბუხუტია დაუხვდა და მაშინვე აიმლერა. რა ეშმაქმა მოიყენო იგი აქ, გაითიქსა და საგარენელში ჩაჯდა.

— ნავთი არა გვაქვს! — ღიმილით უთხა დირექტორმა ნოქას.

— ერთი ფუთი მაინც ჩასუსხე და მერე ჩვენც მოგვივა. — დაიღრიჯა წუხეტის.

— თავის რზოზე უნდა მოვეტანა, ძმაო, ნავთი, მე ერთი წვეთი არა მაქეს, შეიძლება მიტოს ჰქონდეს ბრიგადაში.. მიტო, შეგიძლია მისცე?

— რატომც არა! — უყიუმბორ მოუკო შიტომ და იმ წუთში ბუხუტიაშ მას ისე გაულიძა, თითქოს დაიღი ხნის უნახავ ძმის შეხვდათ.

მიტოშ დირექტორს წინაღამით შეღეგნილი სია და ქვითორები გადასცა და შემდეგ ბუხუტის გაძყვა. საწყობში. როგორ სანვთო გაუცხო, ტრაქტორის-ტრა ზურგზე ხელი დაჭრა და ცუვად უთხა:

— ჟე, ქოწილში მაინც დამპატიე!

— კა მარა, საიდან იცით!!

— მითხრეს. საპატარძლოსაც ვიცნობ! — მიტოს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბუხუტის სიტყვა გადაუქრა.

— ზოგიერთები მეხუთე ქალს ართვენ და კაცი ვერ გებულობს... მე კა ერთიც ვერ მომიყვანია.

— შე კაცო, დასამალი რა გაქვთ?

— არაფრი, მარა საქმე სოფელს პირში რომ ჩაუვარდება, მერე კუს-
ვნებ გამოაბამს კაცი! — წყენით სოქვა ბუხუტიამ და წავიდა.

— ირთავს! — აუხმაურდა გული მიტოს და ერთ წუთს დაენგრა ოჯახის
მოწყობის მთელი გეგმა.

ეზოში ახლადშეეთებული ტრაქტორი გუაუნებდა, მაგრამ არაა კლებ
გუგუნებდა მიტოს გული. იგი ბრიგადაში აუკრისებული მიეიღა და ბიჭებს
რომ გადახედა, ისე მოეჩვენა, თითქოს ყველა მას დასკუროდა.

3.

თოველი მზის ერთი დაცუნების შემდეგ კვამლივით გაპქრა. სოფლის
რუებმა ენა ამოიღეს და მდინარისკენ კისრისტებვით გაქანდნენ. იაგორა
სანერგეს წინ ჯირჟე დამჯღარიყო, ზურგი მზისთვის მიეფიცხებია. მთ-
ხუცის დაობებული სხეული თბებოდა. რუების ხუილს შიდამ აეკლო და
იაგორაც გაზაფხულის სიკვარულით დამტებარი ყურს უგდებდა წყლის რაჟ-
რაკს. ტყემლებს თოვლმა ვერათერი დააკლო, თუმცა ნააღრევი ყვავილი კი
დააყრევინა, სამაგიეროდ, ახლა მზემ ისევ გამოაცოცხლა და კვლავ აყეაების
მაღა გაუღვიძა.

ნინო მოეიღა ნერგების გასასინჯავად. ახლა უმცროს აგრონომამდევ-
ცოტა აკლი. ქალი მებაღეა და ბალივით გულლია. სანერგეში ნესტის სუნი
ჭარბობდა. მანდარინის გახარებულ ნერგებს თავები ისე დაეხამია, თითქმის
იხვეწებოდნენ: ჩქარა გამოვიყვანეთ მინდორშით. ნინომ და იაგორამ ბრიგა-
დების მიხედვით განაწილეს ნერგები და, შემდეგ ტრაქტორების გუგუნზე რომ
მოესმათ, ფანჯარასთან მიეიღნენ.

საგაზაფხულო ხენა უკვე დაწყებული იყო. ტრაქტორთა მეორე კოლონამ
სანერგეს გრიალ-გრიალით ჩაუარა და მთელი შენობა ააზანზარა, მიტოს
მაგრად ეკავა საქე და ტრაქტორის ბოლი ქარს სანერგისკენ მიქვენდა, თე-
ოთხაც აქეთ იხედებოდა. საბედნიეროდ ის იმ კოლმეურნეობაში მოხვდა.
რომელშიც ნინო ბარამის მუშაობდა, მაგრამ ეს სრულებით ას გაძხვებია,
რადგან ბუხუტია ას ხემრობდა, მთელმა სოფელმა გათვა ქორწილის ამბავი.

სანერგეში უცად შემოსულმა აგრონომმა იაგორას უთხრა:

— გავყევი ტრაქტორისტებს და უჩვენე ის აღგილები, რომელზეცაც
მანდარინები უნდა დაკრივოს.

იაგორამ კოლონას სანერგის ეზოდან გზა გადაუქრა და მიტოს გვერდით
მოკალათდა.

— ამ ტრაქტორთ იმდენს რაედივაჩ, რომ მაღე შეგვიღები! — სოქვა
მოხუცმა, და რომ ას გადაჯიხობილიყო, მიტოს ქაბის ხელი ჩიტებდა. მიტო
განზე გაიწია, იაგორას აღვილი დაუთმო და უსიტყვოდ განაგრძო საქის ტრი-
ტლი: იაგორას მიუხვდა კაჯს და მოხუცას ულონ ღიმილით უთხრა:

— ას იცის სოყიდულმა; მაგრამ მანც კარგია სოყიდული სიხასულია.
მეც მიუკარდა ჩემი თებორნე, მაგამისმა დამიწუნა, იმს ჩავა გვეატან ქალს.
კრეირა რომ დაიწევას, მისი ერთი ლერი ფიცარი ას დაიწვება... მტელიცა
უარი. დიღხანს კიდასიდე, მაგრამ ტებილი იყო ის დარღი მანც, ცოცხალი
კაცი ყველაფერს მიწვდება. რამდენი მაქანეალი ას გაუკვაზენე ის სულწაწ-
მერილს, მაგრამ შენც ნუ მომიკედები, რომ შეჯდა ჯორზე, ფეხიც ვერ მოვა-
ცვლევინდე... შემდეგ რომ გამაქორდა, მომებარენ, მმავაცები, შევიტაცი-

თებრონე, მაგრამ მიჩივლა სიმამრმა, ვიტოლი ჩვენი პრისტავის ხასიათი. წინაა სწარ ფული გავუგზავნე, მერე კანცელარიაში, მე და ჩემი თებრონე რომ მი-ვედით, სიმამრი პრისტავთან დაგვიხვდა. თვალებით შეგვამა. პრისტავი მო-ხუცი იყო, ერთი შეგვათვალიერა და მერე სიმამრისენ გაიშვირა ხელი. „შე კაცო, ასეთ ლამაზ ქალს ახალგაზრდა კაცი კი არა, მეც მევიტაცებდი“. ამ სიტყვებზე სიმამრს ცეცხლი მოექიდა, დაჭრა ფეხი და გარეთ გამოვარდა. ჯანაბძის იქეთ გქონდა გზაო, მიაყოლა პრისტავმა და მე და ჩემი თებრონე დამტკიდებული წავედით. სიყვარულმა თავისი გაიტანა, დარღი სიხარულად მეტეც. და ახლა ჩემისთანა ბედნიერი კაცი ერთი ორი რომ კიდევ იყოს, არ მდონდა. ასე ყველაფერი. წინათ, ტრაქტორი რომ დამენახა, ეშმაკი მეგონე-ბოდა და შიშით მიწაში ჩაძერებოდი. ახლა ზედ ვაზივარ. ესეც სიხარულია, ესეც სიყვარულია. გარეკე, გარეკე, ჩემი მიტუშა. ნინო ბარამია თუ გიყვარს, მოვიტაცით ბოლოსდაბოლოს, ხა! ხა! ხა! ხა!..

მოხუცის სიყოჩალემ მიტო უფრო მოაღწნა და სირცხვილმა სახეზე წით-ლად გადაუარა.

—ნინოზე სრულებითაც არ ვფიქრობ! — ცივად მიუგო ლაპარაკის მა-დაზე მოსულ მოხუცს და ტრაქტორი მთელი სისწრაფით გააქანა. გულში კი ჩეკევედა იაგორის სიტყვები: სიყვარული სიხარულია. თოვლაობის შემდეგ ორჯერ შეხვდა ნინოს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გადაუშალა გული. ერთ-ხელ ნინო დედასთან მიღიოდა, მიტო მხოლოდ შორიდან მიესალმა და გაუ-ღიმა. მეორეჯერ კომკავშირის კრებაზე შეხვდნენ ერთმანეთს და სიყვარუ-ლზე კი არა, გეგმაზე პქნდათ ლაპარაკი, ასდგან მარტო როდი იყვნენ. შე-გდებულობან საუბარი ისეთია ის თხერი, რომ მესამე კაცმა არ უნდა გაიგოს, თორებ ქვეყანას შეჭყრის.

კოლონიამ უკვე ორლობე ჩაიარა. ტრაქტორები ცეცხლით გადატრუსულ მინდოოს შეესინ და მალე აყალო მიწის სუნი ქარმა სოფელში მოიტანა.

ტრაქტორებმა სულ ერთიანად გადაშავეს კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ მინდევრები. ტრაქტორისტებმა ერთი თვე ისე იმუშავეს, რომ მანქა-ნებს ერთი ქანკიყიც არ მოვარენია. უძრავიალი ღროშაც მიიღეს, მაგრამ თუ რომელ ტრაქტორზე უნდა აღემართათ იგი, ამან ცოტა დავა გამოიწვია. შუაღლე იყო. ბიქები საღილომდნენ და თანაც დაობდნენ.

— ჩვენს ტრაქტორზე ავატრიალით! — სთქვა ნაბრივადელმა.

— შენ რომ ეს ღროშაც დღომებოდა, ბიძას, კარგად იმუშავებდი და არა-კინ მოხსნიდა — შეუტია ერთმა.

— კარგი ერთი, ალექსი კი არ მოუქსნია, როგორც... გაათავისუ-ფლეს! — სიკილით სთქვა მეორებმ.

— ეს სულერთია! — ას ისევნებდნენ ტრაქტორისტები. მაშინ მიტო ადგა, უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა და წლოენებით ყველაზე უმცროსს, მაგრამ შეუშობით ყველაზე მოწინავეს, ნიკო ალავიძეს უთხრა:

— წაიღე ღროშა და შენს ჩეტებეს გაუკეთო! — შემდეგ ტრაქტორისტებს მოუბრუნდა — ხომ ალავიძი, ბიქებო?

— ას თქმა უნდა! — გარდა ნაბრივადელისა ყველამ დაუდასტურა.

ნიკო ალავიძის ტრაქტორზე სიხარულივით დფრიალდა ღროშა.

ნაბრივადელი ალექსი რაიონში წამასვლელად ემზადებოდა. საღვურიდან სახისები უნდა მოეტანა.

— მიღიხარ? — შეეკითხა ალავიძე.

— რას იზამ, დავალებაა.

— აბა შენ იცი, ისეთი სახისები მოიტანე; რომ თავისით ხნავდეს.

ვადახნულ მინდორს შუაში სოფლის გზა სჭრიდა. ტრაქტორისტები გზის პირად ისვენებდნენ. ჯერ გზაზე მტვრის კორიანტელი დატრიალდა და შემდეგ ურემი გამოჩნდა. მალე ბორბლების ჭრიალიც გაივონეს ბიჭებმა. ურემზე ლვინის დიდი კასტი იდგა, ხოლო კრონზე ბუხუტია იჯდა და სახოეს უმიზეზოდ უტლაშუნებდა ხარებს. უკან ნელი ნაბიჯით მეურმე მოღიოდა. ისიც სახოეს ატრიალებდა ხელში. ბუხუტის ტრაქტორისტების დანახვა გაეხარდა. ჩამოხტა კოფორდან და ლვინისგან ამსუბუქებული ბიჭებს რიხიანად მიესალმა, ურემიც გააჩერა.

— ჰა, მიტოც აქ ყოფილა, ახლა ას ფუთ ნავთს მოვცემ, თუ გინდა.

— გეტუნბა ბეჭრი ნაეთი გაქვს, ცეცხლი გვყიდება! — თავისთვის ჩაიღა პარაფა მიტომ.

— ბიჭებო, როვორც ვატყობ გისაღილნიათ, ახლა ლვინოსაც ვადაგებურევინებთ... აღმასხან, მაქ რომ დოქი დგას, მეიტანე აქეთ, — უთხრა ბუხუტისმ მეურმეს და მიტოს გვერდით მოურიდებლად დაჯდა.

— მირონივით ლვინოა.

— კაცი, სამუშაო გვაწვება, საქეიფოდ სად გვიალია! — განვებ მიუვინაბრიგადელმა. ისე კი ვიქაში მოყიაფე ლვინის თვალს ვერ აშორებდა.

— შენგან არ მიკირს, ალექსი! საქეიფოდ არც მე მცალია, თითო ვიქადაულიოთ და მე ჩემს გზას გავუღები და თქვენ თქვენი ტრაქტორები აქენეთ. კონკრეტური დროზე უნდა მივიდე, ლვინო მომაჯვს, მარა, იცით — ჩა ლვინოა!.. ეს კიდევ ჩემთვის ვიყიდე: — და მეორე ვიქაც გაავსო. კარგი სუფრა გაშალა. ტრაქტორისტებმა რომელი ვიქა რომ გამოუალეს, მიტომ დოქს თავი დაუკარ და სთქვა:

— გვეყოფა, გმადლობთ, ბუხუტია.

— თითო კიდევ დაულიოთ — დაიღრიჯა ნოქარი.

— არა!

ბიჭები თითოთოთოდ წამოდგნენ, მერე ბუხუტიაც აღვა, დოქი კასტის წინ კოფორცე დადგა და ხარები გარევა. მიტოს ბუხუტის დანახვაზე ისევ აეშალა ფიქტები. კრისტი ვერ შეხვედა ნინოს, თორემ ყველაფერს ეტყორდ. ბრიგადას უმიზეზოდ შემ უერ მიატოვებდა. მინდვრიდან სოფლიამდე თხელი მეტი კილომეტრი იქნებოდა. ამდენი მანძილი და შეიძლება მეტოც ამხრებდა მას ნინოსგან. ფიქტობდა და ამ ფიქტებში იყო ჩაღაც სიხარული, სითბო და ინტერესი. ეს სიხარული აღბარ სიყვარულია, ფიქტობდა და თავის გულში ამართლებდა მოხუც იაგორის.

ნაბრიგადელი ალექსი სულ სხვას ფიქტობდა. ჯავრისგან გასიებული გული ამოვარდნამდე უძერდა და ჩაქარ, ძალიან ჩაქარ მიღიოდა. უნდოდა ურემს დაწერდა როგორმე.

— მიტოს გარდამავალი დროშა, პატივი, დაუფისება და მე კი... — და ამ ფიქტებით გალომასებული მართლაც დაეწია ურემს. ბუხუტის მისი მოსელა გაეხარდა, რაღვან ნაბრიგადელსაც უყვარდა ლვინო.

— კარგი იყო შენი ლვინო, ძალიანი ჩამიღვა! — ფიქტის მისალმების თანავე ალექსიმ.

— ჩემი რა ცუდი, მაგრამ ზოგიერთებს არ მოვწონვაშ. მკამელია, ამ-
ბობენ. რას მიქვია მკამელი! კი მარა, ქვა ხომ არა ვარ, უკმელად ვეგდო!

— მართალი ბრძანებაა, ჩემო ბუხუ, ინტრიგანები რას არ მოვივონებენ,
მაგრამ შენი საჭე მაინ(?) მაკვირვებს!

— საკვირველი კია, მარა რა იყო, კაცო, მაინც ასეთი!?

— ჰმ, მაგას ნუ მკითხავ, იგი შენც კი გეცოდინება.

— ნუ კი წოუგრძელუ, მითხარი რაც იყო, თორებ ღვინო თვალებიდან
ამომდის.

— ის იყო, ჩემო ბუხუტი, რომ შენი ნინო ჩემს ბრიგადის სულში უძრება
და შენ ქვი ატეჭას მეონია მშრალზე.

— არა, ამის ვერ დავიჯერებ, ჩემს საქმეს ერთი ხელის დადება აკლია,
თვარი ზაქში მოვყოფთ თავს.

— რომ არ წამოვყება, არ დაიჯერებ? ის უკვე მიტოს კიდევაც დაუნიშ-
ნია: ქალს გართმევს, შე ყურბანო, ქალს. ამისთვის ძველად სისხლს დააკცევ-
დნენ. — ვითომ მოხუცი ყოფილიყო ისე დაუდინჯდა ალექსის ხმა. სისხლს
დააკცევდნენო, რომ მოესმა, ბუხუტიამ მაშინვე დგაფანი მოაღინა ურმიდან,
ურტა წაბარბაცდა, მაგრამ ღვინისგან აბუუბუუებული ტანი შეიმაგრა და
კელში წაუკირა აოდესის.

— რატომ მაშინ არ მითხარი, შე მელაძუავ, შენა, როცა ჩემს ღვინოს
ხეთქმუა, ჭარაჭვით გავაჩრიოდო მაგ მოთხოვთლა.

— ახლაც არ არის გვანი! — წაისისინა ალექსიმ. ამ სიტყვებზე ნაბრიგა-
დელს ბუხუტიამ გაუშვა ხელები და უკან მოხედა, მაგრამ ვერაფერი დაი-
ნახა. ტრიქტრიქტი წერტილებივით მოიჩანდნენ.

— მოვკლავ, დედა, გეფიუები, მოვკლავ! — გაპყვიროდა ბუხუტი და
სახრეს ისე უჩტებდა წაბლა ხარს, თითქოს იგი ყოფილიყო დამნაშავე. ბუ-
ხუტია თავს ვერ იძაგრებდა.

კომპერატივში შისკლისას სიმთვრალე უკვე გადასკლოდა, მაგრამ სიბრა-
ზე უელში უქრადა და ალტენბდა. როგორც იქნა ურმიდან კასრი გადმოიდეს
და დაუქანში შეავირეს. ბუხუტიამ მეურშეს გაუსწორა ანგარიში, დაცლო
დოქს ხელი და შინისკენ ვასწია. ჩქარა მიღიოდა. ლოქში ღვინო ტყაპუნებდა,
ჭიშკარი შეალო და ფინია ფეხებში ჩაუგარდა. სიხარულით წვაცწავებდა
ძალია და ჩიჩილავივით გაშლილ კუდს აღერისიანად იქნედა. ბუხუტია ყო-
ველოვის გადაუსვამდა ძალის ხოლმე ხელს, მაგრამ ახლა, მოფერების ნაცვ-
ლად, ფეხი წაპრა და შეურაცყოფილი პირუტყვა ძუნძულით ხახლის ქვეშ
შეძვრა ბუხუტია სახლის კიბეებზე რომ აღიორა, უციტ დოქი საფეხურს მოხვ-
და და გატყდა. შევმა ღვინომ სისხლივით ითქრიალა და კიბეები შეეჩდა.

— უა! — აღმოხდა ბუხუტიას. მი დროს დედაც გამოვიდა აიგანზე. მო-
ხუტია დალგრილი ღვინო და დოქის ნამტვრევები რომ დაინახა, თავზე შემო-
ირცა ხელები.

— მომიჯვდეს თავი!.. ეს ცუდი ნიშნავს!

ბუხუტიასაც. შეიშა დაუიარა. სწორედ ამ კიბეებიდან შარშანწინ მამამისი
გადმოვარდა (მოგრალი იყო), თავი ქვას დააჩრეა და ლოგინად ჩავარდა. ექიმ-
შა სოქე: ტრინში სისხლი ჩაჭრევით. წამლის დალევა ვერც კი მოასწრო, ისე
გამოემშვიდობა წუთისმფერელს.

მამა თასქები რომ მოკვდა, მეზობლებს მერე დაწყდათ ვული, თორებ რო-
ცა სული ედგა, ჩველას ეჯავრებოდა. ავი კაცი იყო. დამწევაზ ნაჭშირს არ ვა-
16

მოიმეტებდა მეზობლისთვის. კოლმეურნეობაში არ შევიდა და ვაჭრობას მიჰყო ხელი. ყველაფერს მაღლულად ყიდდა და ყიდულობდა. მართალი იყო ერთი გლეხი, რომელმაც თავის მეზობლებს უთხა: ისები საეკულანტი იყო, რომ არ მომკვდარიყო, მაინც დაიქვერდნენ.

4.

სოფლის ახალგაზრდები დიდ მზადებაში იყვნენ. რაონის სტანციელთა შექრებისთვის სასოფლო საბჭოს, პარტიული და კომუნისტიული ორგანიზაციების შენობებს საგანგებოდ რთვდნენ. გოგონებს მოჰქონდათ ნაადრევი ვარდები. ვარდისფერადვე უღაუღაუებდათ ლოუებიც.

გაზაფხული უკვე მოული თავისი მშენებელებით აფეთქებულიყო და ხეხილს კვირების მწვანე სამოსელი ამშვენებდა. კიდევ რამდენიმე დღე და ფოთლების შრიალსაც გაიგონებდა კაცი და დედა-ბუნებაც საზემოდ მოიჩინებოდა. მაშინ კარგი სანახავი იქნება სოფელი. მანდაქინის ხეებს, ახლა რომ შეფუთულები დგანან, ტანისამოსს შემოაცლიან, ოდნავგაყეითლებული ფორტები უცებ ამწვანდება და პირველი ნამისთანავე მცენარის ყვავილი მზეს გაუცინებს.

— ნინო ბარამიას სახლის ფანჯრებს მზე ანათებდა და მინებს ისე აძრწყინვალებდა, შორიდან რომ შეგხედათ, იფიქრებდით — უცხლი წაჟირდებით. ნინოს დიდი თავიული დაეკავებინა ხელში და წასასვლელად მომზადებული რაღაცის მოლოდინში სკამზე ჩამომჯდარიყო. ცალი ყური კედელზე მიუდინა, თითქოს მის ფერებს უსმენს.

— ბექა, ყველაფერი მაქვს. ჩიტის რეა რაა, ისრც არ მაჟლისა. დაჯდეს და ვამოს. მარა თავი ღანგებოს ყველაფერს. ოჯახის ქალს ვიშერის გარეთ არც კი გადაესვლება, კირიმქ. კომუნისტი, სასწავლებელი, კრებები — ეს ყველაფერი მოვრნილია. მე და შენ კომუნისტი არ უკოტილვარო, მარა ჩეენი ცხოვრება აქამდე ქე მევიტანეთ და აწიც ქე ბავძლებთ... ამ საქმეს დაგვიანება არ უხდება. მალე გავათაოთ, კირიმქ.

ბუჭუტიას დედა მის მეზობელ ქალებს იმით სჯობნიდა, რომ ენა სამართებელიყით მჭრელი ჰქონდა რა აბლაც ისე. ელაპარაკებოდა ნინოს ჩედას, თითქოს კანონის წიგნს უკითხავდა.

— კეთილი, ბატონო, მე რა მაქვს საწინააღმდევო, შავიამ გაფეხს ცკრხას მაინც.

— ბიჭი და გოგო უკვე შეთანხმებულნი არიან.

— მით უკეთესი, ამას რა სხემია!

— მართალი ბრძანებაა ბატონო. კიდევ უნდა გითხოვა ერთი რაღაც. რომელიც აქედანვე იურდვე, ურიკო არ იქნება. მზითევი, ჩემო დესპინე, მოღაში არაა, მარა ამას ნუ ვიტყვოთ, რას მიქვის მოხა, ქალს გული არ უნდა დაწყოდეს. მისი წილი წყალში რომ გადაყაროს, დედა რომ ხაჩ, მაინც უნდა მისკუ.

— მომკალი ვინქამ, რას ამბობ ადამიანო! რასაც ხედავ, ყველაფერი მისი ნაყიდი არა? სტანციელებია ჩემთ ნინიკ, კოლექტივიდან კაი ძალი ფურული ერგო, შემოველის დედამძის.

გულკეთილი დესპინე ყველაფერიში დაეთანხმა ბუჭუტის დედას და თუ ნინიკ თანაბმა იქნებოდა, ნიშნოდა ვადაქმა შაბაზისთვის დანიშნეს.

მათი საუბრის მოსმენაში ნინოს თაიგული ხელებში ჩააჭერა. ვარდები სიცოცხლეს ეთხოვებოდნენ, სიწითლე თანდათან ქრებოდა და სიკვდილის ნიშანწყალი ფოთოლებსაც გადატერავდა. წალაშლაშდა ბუხუტის დედა. ნინო დედასთან შეკიდა და გაბოროტებულმა უთხრა:

— მორიგდით, არა? ჯევენ ძეველი დრო ხომ არ გვონიათ, პო, ის ჩარჩი, ისა მზაოვი არა, მისმა თავის ხეთქმ, ისე დამიწუნებს.

— თუ აյ იყავი, ვერ შემოდი, შვილო?.. გიწუნებს კი არა, ბედი მოგვადგა კარებზე, კარე ოჯახში შედიხარ, კირიმე, ყველაფერი თაგსაყარი გექნება.

— მე საბყარი კი არა ვაჩ, რომ სხვისმა ქონებამ გონება დამიკარგოს.

— ამას ვინ გეუბნება, მარა ბუხუტის რომ ვერ დავიწუნებთ, ეს ცხადია. რა ვუკოთ, რომ ნოქარია, ხვალ გამგე იქნება და ზეგისთვის კიდევ წინ წარწევს.... ესეც ას იყოს, მამამ კარგად დასტოვა. შეზრდილები ხართ და იმას თუ არ შეეწყობი, სხვას ვიღის; არ ვიცი.

კომედიის კომიტეტის მღივანმა ნინოს ჭიშკრიდან დაუძახა:

— ამ წუთში, ზინა, ამ წუთში! — ნინო ვამოვიდა სახლიდან და კიბეები მარდად ჩაიჩინა.

ისინი გზაზე მიღიოდნენ და გათხოვებაზე კი არა, სტახანოველთა შექრებაზე საუბრობდნენ. ამ შეკრებაზე ნინო ბარამია თავისი სოფლის სტახანოველთა სახელით უნდა გამოსულიყო.

მიტო თურქმანიდის ბრიგადამ უკანასკნელი ორი ჰექტარი ნასაღილეეს გადაშევა და დღოური გეგმაც შესასრულდა. მზე თუმცა მთებს ამოეფარა, მაგრამ დედამიწაზე ბუნდოვანი სინათლე მაინც დასტოვა. შეწყდა ტრაქორიების გუგუნი. ბიჭებმა ხელპირი დაიბანეს და საველე ვაგონში რომ შევიდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ავრონომი პავლე ნახნავის შესაკუტრებით პავლესი, რომელსაც შეეძლო ნინოს შესახებ ერთი ორი ტკბილი სიტყვა ეთქვა. როცა შემოწმების მოჩჩნენ, უკვე ბნელოდა და სტუმრები ავტომობილის მოლოდინში მუხის ქვეშ დასხრდნენ, — ცუცხლზე სიმინდით სავსე ქვაბი თუხთუხებდა. ავრონომი ბალოზე წამოწვა, მიტო გვერდით მოუჯდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე — უკვე მოვხუცდიო — და მკერდი მიტოიცა ცუცხლს.

— სახელუში რა ამბავია? — შორიდან მოუარა მიტოომ.

— უკვე გადავრჩევ მანდარინები, იაგორიც ამყნის და ამყნის. ნინო ლომივით მუმოობს. უკვე, მართლა, მოკითხვა შემოგითვალია, რა ფეხი მოვევთაო.

— რა ვქნა, ჩემთ ბავლე, ბრიგადას ვერ მოვშორებივია, ბიჭებს დახმარება უნდათ. ზეგ კი ჩამოვალ სოფელში, რაიონში სტახანოველთა შეკრებაა, შენც იქ იქნები აღმად.

— რა თქმა უნდა, ნინოც იქ იქნები, მართალი ვითხრა, თქვენს შორის რაიმა ძაფები გამმული, თორუმ რატომ გვითხულობს ასე ხშირსშირად, შენც პირველად ისა მკითხვე.

— არა, პავლე, ქალის კითხვა რა დასაბრახისია.

— იან გძირავს, ძმა, კინგი ვოვთა ნინო,

ამ დროს ცეტომობილმა მოსახვევიდან გამოიხედა და მუხის ქვეშ დაასო ბრიდალა თვალები. სტუმრები ავტომობილში ჩასხდნენ და წავიდნენ. მიტო

დარჩა მოწყვენილი... ნეტავი ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო შავლუ; ეგებ ნინოს შესახებ ერთი ორი თბილი სიტყვა ამოსცდენოდა. მიტო სიყვარულის სიხარულით იყო აგზნებული. მოკითხვა შემომითვალია; მაგრამ... მე რომ არ შემითვლია, სამაგირო. ამან გული დასწუვიტა ყმაწვილკაც. დიღხანს იყო დალონებული და შემდევ იმ იმედით დაიძინა, რომ ზეგ სტახანოველთა შეჯრებაზე ნახავდა და გულს გადაუშლიდა.

დილით, სანამ ტრაქტორიზი აგუგუნდებოდნენ, ალექსიმ ახალი სახისები მოიტანა და ბიჭები გაახარა.

— ყოჩალ, ალექსი, კარგი სახისები ავიჩიევია. სხვა, რა ამბავია სოფელში? — ჰკითხა მიტომ და სახისებს დოფუწო სინჯვა.

— ახალი ამბავი რა უნდა იყოს, ზეგ რაონში სტახანოველთა შეჯრებაა, გარდა ამისა ბუხუტია არ ხუმრობს, ბაზამის ქალს იზიავს.

— ეს ტყუილი იქნება, ნინო ბუხუტიას არ გაჰყება! — ცივად უთხრა მიტომ.

— ო, ასე მეგონა მუკი, მაგრამ მართალიც ყოფილია. ბუხუტიას დედამ მითრა. ჩინო ვახტე, შავრამ, რომ თხოვდება, ალბათ, სკევენია და თავი ამარავდა. — თითქოს ამის დასამტკიცებლად ალექსიმ ქალალი ამოილო ჯიბიდან და მიტოს გადასცა. მიტომ უგულოდ გახსნა წერილი და რომ წაიკითხა, ნამრიგადელს უთხრა:

— შენი ნებაა, ჩვენთან თუ არ გინდა მუშაობა.

— რას ბრძანებო, როგორ არ მინდა, მაგრამ მეოთხე ბრძგადაში. მირჩევნია მაინც! — და ალექსი წავიდა.

აფრიკაქებულმა მიტომ სახნაში მიწაზე დაგდრო, რეინამ შეყვარებულის გულოვით გაიხმაურა.

— მაშ ასე!

მიტომ იმავე დილით სატრაქტორო ბრიგადა ახალ ნაკურთხე გადაიყვანა და ნასაღილებს ნინოს სანახავად სოფელში ჩამოეიდა.

... ნინო ბარჭმია მთელი საღამო სამკითხველოში მოხსენებისთვის ემზადებოდა. ერთი რვეული ვაავსო ამონაწერებით. შინ გვიან მოვიდა. დედას ეძნია, ფანჯრები რის დაჩინორუა, ელექტრონის შექს თავხი გაებრწყინვალებინა და ნათერასთან ნაომები მწერები მაგიდაზე ეყარჩენ. ზოგი მკვდრი იყო, ზოგსაც ფრთხები დათვითქველი ქმნდა და ამავდა ცილინდრი აფრიკას.

დედა ძილში ხმიდალა სუნთქვედა, დანაოქებულ სახეზე ლიმილის მაგვარი რა რაღაც ვადაკერძოდა და ეს აღმართ სიხარული იყო, ნინომ გაიღიმა, როცა დედას სასუმალთან დაინახა მაქსიმ გორეკის „ადამიანის დაბადება“ და შრომის საღრიცხვო წიგნაյო. აგრეთვა მესამდე დღევა დედა ადამიანის დაბადებას“ კოსტულობის და ეს ათვერტილი მოთხრობა კიდევ არ დაუმოარებია. ქალიშვილმა შრომის საღრიცხვო წიგნაյი გადაშალა და მრავალჯერ ნახელს ერთხელ კიდევ გადავლო თვალი... 1937 წლის პირველ ავგოსტოს 127 მრამა-დღე... ამოკითხა მან, აშჩილში ნამუშევარი ჯერ არ შეკრანია, ასე რომ, ჯერჯერობით ბიქები ჩემთან ვეზ დაიკეთდიან. მეტი დღის წიგნაიც ნახა, რომელშიც სამოქადახოთ პირმადლე ეწერა. ქალიშვილი უკურებდა ზძინარებს და მის მანებისა გულში უდირ ძლიერიდ ჩემფრი და დედისაღმი სიყვარელი. ის მზად იყო მაგრად ჩახევოდა დედას და ჩაეკუნა მისი დამვეწარი თვალები.

— მეც ვიქწები დედა, მაგრამ სახე აჩასოდეს დამინაოჭდება, რაღან შწუხარება არ მცოდინება რა არის, — უელავდა ნინოს გულში და სანდომი-ანი თვალებით დასკავტოდა მძინარე დედას.

სოფელს არ ეძინა. ძალები კანტიკუნტად უფლენენ. გაზაფხულის დიღი მთვარე ელექტრონის შუქზე არანაკლებ ანათებდა სოფელს. გზაზე ურმები მიკრიალებრნენ. ხანდისხან ავტომობილიც გაიქროლებდა და მერე ძალლების უფა და ლირნა ისმოდა დაღხანს.

ნინომ ფანჯრები დაპკეტა. ბუფეტიდან ვახშამი გამოიტანა და მაგიდას მიუჯდა. ვახშმობდა მარტოდ და გულში კი ჯავრიობდა ბუხუტიაზე, რომელ-მაც სამავანქლოდ დედამისი გამოგზავნა... მერე მიტომაც გაუელვა თვალწინ ამწვანებული ულვაშებით, ტყავის პალტოთი და აღეძრა მისი ნახვის სურეილი.

ნავახშების მუჯდა მაგიდას და სტახანოვური მოძრაობის შესახებ ცრალინის მოხსენების კითხვას შეუდგა. ოთახში სიჩუმე იყო. ნათურას, რაც შწერები ებრძოდნენ, ყველანი ძირს ეყარნენ. ნინო კითხულობდა და ციტა-ტებს ცალკე რვეულში იწერდა...

უცებ ყვირილი ფანჯარას მოასკდა. ნინო ზეზე წამოხტა და აივაზზე გამოვიდა. ხმა კოოპერატივიდან მოღიოდა. ალბათ, მთვრალები ჩხუბობენო, გაიფიქრა მან, მაგრამ...

— ბუხუტია, შეგირცხვეს ცხვირი, დაგდე ნაჯახი! — ეს ბიძია იაგორა იყო.

— კაცი, დანიშნულ ქალს მართევს ვიღაც მოთრეული, გამიშვით, გაა... ბუხუტია გაჰკიოდა. იქნო ნინამ.

— არ გრცვენას, დაგდე ნაჯახი! — ამბობდა ვიღაც. ნინო ნელა მიღი-ოდა და ეს სიტყვები, რაღან სოფელს უკვე ეძინა, გარკვევით ესმოდა.

— რომელი ყაჩაღი მე მნახე, რომ საცოლე წაგართვა.

— ეს მიტოა! — დაიკივლა ნინომ და გაიქცა. სულმოუთმელად გაჩო-და და გული ამოვარდნამდე უძვერდა. კოოპერატივის წინ რომ მივიდა, ხალ-შემოხვეულ ბუხუტის ორი კაცი ძლიერ აკავებდა.

— ჰე, ნინო, შენ გენაცვალე, შენი გულობიზა აქ ერთმანეთს ხოკა-ვო! — დაიჭიბა იაგორამ.

— რომელი ბრძოლის ველი აქ ნახე, რო გაჰკიო! — მიმართა ნინომ ბუ-ხუტის და მიუახლოვდა! — როდის დამნიშვე მე შენ, რომ მთელ სოფელს მოსდევი, ძალით ვრნ გაგუვება, შე უბედურო შენა.

— ხოხო, შენ გენაცვალე! — დაიკირიალი იაგორამ.

გამშრალი და გაშეშებული ბუხუტია თავდახრილი ჩასცეროდა. მიწას. ნინო სწრაფად მოტრიოდა, ერთი ნაბრუ მიტოსკენ გადადგა და უთხრა: — წამოდი ჩემსა!

მიტო არ იძროდა. ქალს უფრო მეტი ვამბედაობა აღმოაჩნდა, მივიდა ვაეთან, ხელი ხელზე მოჰკიდა.

— რას გაშეშრი, წამოდი.

შიტოს გულზე შემოენოთ სიყვარულის სიმარტვილი და გადაეხვია ქალს.

— ჲა, თქვე ეშმაკებო, თქვენა! — დაუტარუა იაგორამ.

ბუხუტია ძალა მიწის ჩასცეროდა.

მეტად დღეს მიტო და ნინო ერთხდ წაიღიზნენ სტახანოველთა შექრებაზე.

კლუბის შესავალ კორემში კიტო თურმანიძის გარდამავალი დროში ცირიალებდა.

„ლավით სასუნცი“

მწვანე ქალაქის გათავისუფლება ვეშაპისგან

— „მწვანე ქალაქი, სად ხარ? მოგველით“. ქალაქს მიადგნენ მწირს და უგვანოს. კარჩე დედაბერს ღაუყაუნენ: — სადღა წავიდეთ ახლა უკანო. ქალმა იკითხა: „ე, მანდ ვინ არის“. — უცხო მხრიდან ვართ, შეგვითარეთ. „სტუმარი ღოთისგან მოგზავნილია კარი ლია მაქვს, მოღით, მარეო“. ქალმა გაულო ვაუებს კარები, შეხვდა კეთილი და მოუბარი. — „მე უწევლო გარ, შეიღლად მიგიღებთ, პურს კი უთუოდ მოგვეუმს უფალი“. დილით სანაბარ ჰერთხავს ბალდასაჩის: „თუმცა რას ვაგებთ, ძმაო, თანრიან, მაგრამ მევებ რომ აქ გამოგვეგზავნა, რატომ არ ჰერთხეთ — რად გვაგზაუნიდა?“

ბალდასაჩი სთქვა: „მოველოთ ქალაქი და ის ვაკეთოთ, რაც ღმერთის ეწადოს“. ცხენ-იარაღი ქალთან დასტოვეს დედო, მიჰედე უკეთესადო. შექრიბნენ მეტის საჯინიბოსათ და მეჯინიბ ჰერთხავს მთვარი: — „თქვენ ას ხალხი ხართ?“

„უცხოელი ვართ, გამოგვივიდა გრძელი სავალი“. ჰერთხავს: — „ცხენების მოვლა თუ ისრით?“

უთხრეს — „საქმეა კრიომ ადვილი; ისრიავ შეიხმო საჯინიბოში — ავერ, ცხენისთვის სწმინდეთ იდვილი“.

ცოცხი აიღო ხელთ სანაბარშია, ნიჩაბს იმარჯვებს ძმა ბალდასაჩი. მიმოიხედეს საჯინიბოში, უცხო გასწმინდეს ნეხვი რაც არი. — „თუ სამურეველსაც მოგვეუმთ, კეთილო, თქვენს ბედაურებს გავწმენდო თავიდან“. —

— „აი აქ არის, მოღით, აიღით“ — და მეჯინიბე გარედ გავიღა. იღებს სანაბარ ხელში სამურეველს, პირველს, მეორეს სტებს სანაბარი, გმირის ხელებში ჩვალი ძლიერი წერილად იფშვნება, როგორც ნაცარი, მიმოიხედავს, საჯინიბეში კედლებს, გარემოს თვალით გაჟიყვება, ნახავს: ბრინჯაოს დიდი ვარული დევს, შეგ ქერი ყრის ცხენთა საკედალ. ვარული აიღო ცხენთა სამურელად, გმირი შესაუერს სხვას რას ნახავდა, და რას ვაღუსვა მერნებს, საოციად თავით კულამდე ტყავი დახადა. სწუხს მეჯინიბე დაბრუნებული: — „ეს რა ვიქნიათ, თქვე მგლის კერძებო?“

ღმერთი დააჭიეცს იმ თქვენს თჯახებმა მე სხვა ცხენები საღლა ვეძებო“. და მეჯინიბე მეუეს წარუდგი — იმ მგლის კერძებმა მოგვაგდეს, ლომნი არიან, მდევრი არიან, ას მოგსწრებივან, მეუეს, ამ დღესთ. მეუებ უბრძნა: — „იყონ, დასტოვე, ვიკი მდევრი ისრიავ ვეება, ვანთიადოსა აღნენ, ემზადონ, 21

უნდა იმ მთაში ვეშაპს შეებან".
ძმები დაბრუნდნენ შინ დედაბერთან.
ამბობს ბალდასარ: — "დედი
მწყურიან".

— "შეილო, მოგიკვდი, წყალი სად
არის,
კელი წვეთთ ვერ ჩამიკურია".
ვაერ გაოცდა — "ეგ რა მითხარი?"
"შეილო, ვინ აძლევს წყალს ამ
ალაგბო,

წინეთ აქ იყო წყალიც, მცენარეც
და უწოდებდნენ მწვანე ქალაქსო.
ახლა იმ მთაში ქრო წყაროა,
მაგრამ ვაჰშე, რომ ჩვენ არ გვარებია,
წყაროს თავთან წევს ქრო ვეშაპი,
ტანთ სათავე ჩაუჯარებია.
შიშით ვინ მივა, შეილო, წყაროსთან
აქ ვინ მიჰქედავს ეგრე ადვილად?
ყოველ კვირაში ვაშმევთ ქალწულებს
და ის წყალს გვაძლევს ნაწილ-ნაწილად.
ასე, ვეშაპი გვარომევს ქალწულებს,
წყაროს სათავეც დაუკერია,
მეფეს ქალი ჰყაულ მზეონხავი
და ხვალ, შეილებო, მისი ჯერია".
რად არ მოჰქონით, დედი, ვეშაპი
რად არ მორითოთ ამგარ გლოვირან?"
"ასევე შეება მეფე ჯარებით
და ახაუერიც არ გამოვიდა".

— "აი, ხომ გვიმით ქალის კივილი?"
სოქეა ზედამეტამ. ხულის ფანცელით,
განთიღოთ, ცეშაპისაკენ.
მიჰყავთ ხელწიფის ქალი საწყალი"
ნახეს კაეგბა: მართლაც ქალია
მზეონხავი, მზისეურ ლოკებით;
მიჰყავთ წყაროსკენ, შავარჩამული,
ზურგზედ ულგათ ქალებს კოკები.
უკან გაუტენენ ძმები მავიღებს.
ხალხიც შეაგუდა როგორც გორგოლი:
— ძმები, მიჰყარეთ ვეშაპს
ქალწული,

და თუ გმირი ხარი, მხერი
მოჰყალიოს:"

მეფეს მიმართეს ძმებმა მწერარების
"მეფევ, ეგ ვქონდა ჩვენაც გულ შია,
მაგრამ არ გვაქვს თან საჩარი.

რა ვქნათ?" — მპყრობელმა ვერჩა
უტჩია.
გაშინ ძმამ უთხრა ძმას — „იმ ოდაში
ორი ლოდი ძევს უზარმაზარი.
შეა ნახვრეტი აქვთ და მაჯაზე
წამოსაგებად ორთავ მზად არი".
ნახეს, აიღეს ძმებმა ლოდები,
ვთ იარალი, უცხო ქონება,
— ეს ვინ მოსულან, ქვა სად
მიაქვთო,

მეფეს შესჩივლეს ქვის პატრონებმა:
„ძმივს მოვიტანეთ ერთხელ შინამდე,
ახლა რა უნდა ამ ხალხს ლოდთანა?
თუ მიათერევენ მთაში სახროლად,
სად შეგვიძლია ისევ მოტანა?"
მეფემ შესთხოვა ძმებს მორჩილებით:
„ქვის პატრონები დაწყდენ გლოვითა,
ომს რომ მოიხდით. უკან მოიტანთ?"
ძმებმა მიუგეს: — "უკან მოვიტანთ".
ხელში აიღეს ძმებმა ლოდები.
მეფეც გმირების სიტყვით არწმუნებდა.
ქალით გასწიოს. იმ მთას მიადგნენ,
სადაც ახამდნენ მსხვერპლად
ქალწულებს.

უთხრეს: „ქალწულო, შენ აქ დადექი,
კვიულავთ, წნელია შენი მიგნება.
ჩვენგან ერთ-ერთ ვეშაპს დაუვლის,
ერთიც საფარში ქვემოდ იქნება".
ქალმა იფიქრა: „მოდი გავძრები,
ალბათ ვეშაპი ამათ მიაგრევს".
კიდეც მოჰყესლა, მაგრამ გმირებმა
დიაჭირეს და ხეზე მიაკრეს.
სანახარება სოქეა: „ძრის მე დავდგები,
შენ კი მაღლიდან ვეშაპს დაჰკარი.
შენ რომ ძრის იყო, ქვის ვერ დაიკერ,
მე კი დავიქერ მკლავით მაგარით.
როგორც გამოვა კლიდან ვეშაპი,
მყისვე დაჰკარი გამოიტებით.
მხოლოდ უფროთილდო, ამ ხევ-ხუვებში
არ დაგევაჩულს სადმე ლიადება".
უცებ შეიჩიდა მოები, მალები,
თათქმას სკოდა და ბეწვზე ჰკიდია.
მხეცი გამოჩნდა უზარმაზარი,
კიბეზე სამჯერ უფრო ფიცია,
განასაკული მოდის ვეშაპი.

ერთის მავიურ დღეს სამს უცქერის.
 კბილი ალესა, კუდი დაგრიხა,
 გააჩხრალა ქვებზე მუცული.
 ქალწულისაკენ მიღის მშიერი:
 სტირის, ძხოვას სახეს ქალწული.
 ცრუმლი ღვარად სდის, ენა წიერთო,
 მერე მიეყრინო ხეს გულწასული.
 ერთი ქვა სტყორუნა მხეცს ბალდასარმა,
 მაჯრობ ვეშპი ვერ წააქცა.
 ძმას გადასხათა — „ქვა შეაჩერე!“
 ძმამ დაიკირა ქვა და ასწია.
 ერთი შემოკერა მხეცს გამეტებით,
 და შეუნგრია გვერდის ფიცარი.
 მერე მოუტტენ, ქვებით ჩალეჭეს
 მხეცის სხეული დასამიწარი.
 ქვები აიღეს ქალს მიეფურენ,
 ხელი გაუსხნეს, უთხრეს: ლამაზო,
 შეცი მოვკალით. ადექ შინ წადი,
 შენ გაახარებ შენს დედ-მამასო.
 უცებ გაიხსნა წყაროს სათავე,
 წყალმა აჩხებში გაიწერიალა.
 გამოეფინენ გზებზე მცხოვრებნი,
 შინ გააქანეს წყალი კრიალა.
 ბალდასარმა, სოქვა: „ქვები დავტოვოთ,
 ნახე. დამწყვიტეს ორთავ ხელები“.
 სანასარმა სოქვა: „უნდა წავილოთ,
 ცოდო არიან ქვისმფლობელები.
 უცერ წაიღებენ ქვებს უჩვენდო“.
 გამოემართენ ქვებთ, ასულით,
 ქალმა ქალაქში მეტეს უამბო.
 საქმე, გმირების თავსეადასული.
 მეფემ სოქვა: „უფრო, ქვები მოზიდეთ“.
 დაიალ, — მიუგეს მხეცისმეცელებმა,
 მოვიტანეთ და კრიან უწყებით,

შინ შეიტანონ ქვისმფლობელებმა“.
 მეფემ სოქვა: „მათ ეგ არ შეუძლიათ,
 ერთხელ, ოდესლაც ეს კლდე-ლოდები
 ცხენით, კამენით ძლივს მოათხიეს,
 მერე დაადგეს თავზე ოდები“.
 სანასარმა სოქვა: „მაგ საცოდავებს
 შინაც შევუტან, გასხენ კარები.
 ქვებს ჩავიძარებ, მერე ერთხელაც
 მათ არასოდეს გავუკარები“.
 გაცუნენ მფლობელნი, გაუებს უჩვენეს
 ქვების აღვილი შინ შესაფერი.
 ქვები დააწყეს და შინ გასწიის,
 მოინახულეს კვლავ დედაბერი.
 მეფემ მოუხმო ძმებს მეორე დღეს,
 „ძმებო, მნახეთ, გმორნო, ბრძენებო,
 თქვენ დამაკალეთ თქვენის გმირობით,
 მოხვევთ, მიიღოთ, რაც კი გენებოთ“,
 ბალდასარმა სოქვა: „სხვა რა ვითხოვოთ“
 ქალი მოგვეუცი, ჩვენ რომ ვისხენით“.
 მეფემ შეძიოთა; „მითხარ, ბალდასარ,
 შენი სურვილი კვლავ ამისხენი“.
 სამჯერ შეკითხა მეფემ ბალდასარს,
 გახარებულმა მეფემ. კეტოლად,
 მაგრამ ბალდასარ ერთდაიგრეს
 კვლავ უმეორებს ვალწყვეტილად.
 მაშინ მეფემ სოქვა: „ჩემი ლომგულო,
 დღეს მე ზეიმი მერეო ორწილი.
 ჩემი ასული შენოვის მიძღვნია,
 დღესვე გაემართო თქვენი ქოჩწილი“.
 ბალდასარმა სოქვა: „უელა დაეჩები,
 სხვაგან მაქესტებს ჩხა ვაკეულები“.
 აღვნენ გმირები გამარჯვებულნი,
 ქვე დანიშნეს მეფის ქალწული.

თარგმანი ი. აბაშიძისა

ხოცა შეიღი დღე გვირა საული,
 კაბუქს მოესმა სიტყვა ქალისა;
 „თუ მოვკვი აღრე, ჩემსა პაურვებსა,
 შენ გაუწიე ზრუნვა მამისა.
 და თუ შენ მოკვდო, აღრე ჩემზედა,
 მსერს შეკინახო შეიღო ყამობისა,
 ას მინდა ხალხში სიტყვა გვირდეს,
 დაჰკლებითო ზრუნვა მმობლისა“.

მისრა ხათუნმა, „შესძლო ცმიერმა,
 შეუნელებლად მპერის დათხომბე.
 შეიღ წელს პყავლა გმირი მუზანში,
 წეიღი წლით მპერი დამარტოვა.
 მეგრის ერთ ეძმა მპერი ეზოდან,
 დახმაზს ეიღოდა ფიქრში გასთოლი,
 შედგა კარებთან და ვალგონა
 ეთ უალეტისებს ძესა ხათუნი:

„ჩემო ნეჟარო, თვალის სინათლევ,
ჩემო მელიქო, ამბობს ხათუნი,
გააძლიერე ძალა მისრისა,
და ომოვავე მიწით სასუნი“.
რა მოყმეს ესმა, სახლად შევარდა,
გულზე დაესო წვეტი ეკლისა:
„ცოლო, რა გრძნობას უნერგავ ძესა.
ახლად კვერცხიდან ამოჩეკილსა.
არტახებშივე ბოროტს უნერგავ,
ნუ თუ ამისთვის იგი შეიქმნა?“
ჯალმა მიუგო: „მთელი სამყარო
უნდა დამიყროს ჩემმა მელიქმა“.
შპერი ეტყოლა გამრაზებული:
„მაშ შენ გამადე შვილი ისეთი,
ააღვევინო მთელი სასუნი,
და გაამდიღორო მხოლოდ მისრითი?
აქ ჩემი ფეხი აღიკვეთება,
აი მწნდა ცოლო მისრის ხათუნი.
ქალო, მივიღოვან, ვტოვებ მისრისა,
მსუნის დავიმზუნოს ჩემმა სასუნი“.
ჯალმა მიუგო: „შვილი წელია,
შენით ვტყბებოდი, შენი მხმობელი.
წახვალ თუ არა, ნება შენია,
თვითონ განსაჯე ახლა ყოველი“.
ამ სიტყვებზედა მოყმეს საწმიაფოდ
გამოუწერდა ლენი წყეული,
დრონი გასულიან და არმაღანსა
როგორ წარუდგეს მოტყუებული.
ძენოვ აპანის სიტყვა ვამჩათლდა,
გამართლდა თქმული არმაღანისა,
დასწყევლა თვეის ბერის ჯამჩენი,
— დამჯარებოდათ შეუქი თვალისა.
„რა ჩავიდონე, — თქვა დაღვრემილმა —
ეძი მრავილი არის გასული“.
შეინანა და მისრა დასტოვა,
არო მაღლე ნახოს თვისი სასუნი.
პოეზინე ცოლომ, ცოლის აუწყებს:
„შპერი დაბრუნდა, ძლიერ გვიხირის“.
ადგა არმაღან, სახლი დაკეტა,
სწრაფულ მისურა ეზოს კიშეარი.
შპერი მოვიდა, კერავის ხედავს,
სახლი და ეზო გადარა ხულა.
ამბობს: ჩა არის მის მიზეზი,
ნუ თუ სახლიდან ყველა გასულა.
შპერი იძინს: „ჩის გამო არა.

გადაკეტილი ჩემი ჭიშკარი?“
არმაღან ეტყების: „მიზეზი არი,
რადგან არა ჰყავს არმაღანს ქმარი.
რადგან დამტოვე, მისრას წახვედი,
აწი არა ჰყავს არმაღანს ქმარი,
აღარ მინდებხარ, ან მომეგარო,
აწი ჩემთანა ნუ მოიჩეარო“.
მპერი ღრიალებს: „გააღვთ კარი!“
და ესიტყვება ქალი რჩეული;
„ომერის აღთქმა მივეც, ჩემსა
საწოლსა,
აი შეეხება შენი სხეული.
ორმოც წელს ცოდვას თუ მოინანებ,
ლია კარები მაშინ დაგხელება“.
მპერი ღრიალებს ელდანაცემი;
„ორმოც წლის შემდეგ დაგვიანდება.
მელიქ იქნება უკვე ვაუკაცი“.
ტირის და ცოლსა ემუდარება,
მაგრამ ვერჩებით არა გამოდის.
მეფობს სიწყნარე და მღუმარება.
მოყმებ ოპანსა ამცნო ყოველი
და არმაღანთან განჩნდა ოპანი.
„რძალო, მოხსენი საწოლს სუდარა,
ქმარს შეეგებე კეთილმოვანი.
ძმავ უხუცესო, ქმარმა ირუნა
შეძავ ქალისებან თვალის ახევეა.
ვერცხლი წაილო, მოაქვს სპილენძი
და აი ძალიძლო აღთქმის დარღვევა.
ჩაძლო ნეტარო, იშხანთ მოვიხმობ,
ლვითისა მოსავთა შევქმნი ბჭობასა.
ისინი მოვლენ, ითათბირებენ.
განვიტევებენ ყოველ ცოდვასა“.
მოაწყვეს სწრაფად თათბირი იგი,
ლვითისა მოსავთა იწყეს შეობანი.
ჩქვეს: „მცირე არის ეს ცოდმილება,
კაუს სჩვენით ქვენად ცოდვანი.
რა კუყოთ მერე, წავიდა ერთხელ,
სხვა ქალის ეშმა წაიტანია,
აზლა დაბრუნდა შინ უვნებელი
და ცოდმილებაც მოინანია“.
„რადგანი წელი აღუთქვი უფალს“ —
ჰკითხს არმაღანს ლვითის მამებმა.
„ორმოც წელი“, — მან უპასება.
კალავ ჩქვეს მოძღვრებმა და
იშხანებმა:

„უფალს შევთხოვოთ ჩეენ დაზმარება,
 და ჩაუთვალის აღთქმა წმინდათა,
 ორმოცი წელი ორმოც თვედ იქცეს
 და ორმოცი თვე ორმოც კვირათა,
 ორმოცი კვირა ორმოც დღედ იქცეს;
 და ორმოცი დღე ორმოც უამათა,
 ხოლო ორმოცი უამი ასეთი
 ჩეენ ჩავუთვალოთ ორმოც წამათა“.
 და მკვდელმთავარმა კურთხევა უთხრა:
 „განვიტევოთ ცოდვა განვებამ.
 ადექით, გახდით ისევ ცოლქმარნი
 და მერე ვაუ დაგვებადება“.
 მჰერმა ღალადჰყო: „ცოლო, ისმინე
 მოძღვარი ამბობს კეშმარიტებას.
 შემიშეი, ქალო, მალე საწოლში
 და ღვთით ჭაბუკი დაგვებადება“.
 ქალმა გაუსრო საწოლი მისი, —
 „ძალა არ შემწევს — დაცხურო კარი,
 ცოლი ოჯახში არის მორჩილი,
 ხოლო ქმარია სახლში მთავარი.
 გავიღებ კარსა, შემოხვალ შენა.
 ძეს მოვგანიქებს უფლის განვება,
 მაგრამ მაშინვე მოვყვდებით ჩეენა
 და უპატრონოდ ბავშვი დაჩიხება“.
 მჰერი იძახის: „დე, ძე გავვიჩნდეს,
 და მოუგრიხოს მელიქს კისერი,
 ღვთის ჩერეულს ბატყანს მეგლი ვერ
 შესჭამს
 და ჩეენც საკვდილი გვერგოს
 ფხიზელი,

გაჩრავიცულებით. მაგრამ იცოტბლებს
 ჩეენი ჭაბუკი წელი მჩაუალი,
 მით კიწნებით მარიდ ცოტხალი;
 დაგვრჩება გვარის შთამომავალი“.
 უფალს შესხმევს მათ დაზმარება,
 ჩაგეოთალოს ფური წმინდათა,
 ორმოცი წელი ორმოც თვედ იქცა,
 და ორმოცი თვე ორმოც კვირათა;
 ორმოცი კვირა ორმოც დღედ იქცა
 და ორმოცი დღე ორმოც უამათა.
 ხოლო ორმოცი უამი გაერდა
 მზე ამაღლანმა ხელი აღმართა.
 მოყმეს გულადსა და უძლეველს
 ფართიდ გაულო საწოლის კარი.
 მჰერი შეკიდა საწოლში მაშინ

და ისევ გახდნენ ცოლი და ქმარი.
 მჰერი და ცოლი მიეცნენ ფიქრსა:
 „ნეტავ ძლიერი აე შეგვეძინოს,
 მძლე გამგებელი იყოს სასუნის,
 მისრა მელიქი ვერ შეეცილოს“.
 მოყმეს სიზმარში გამოყენდა
 მძლე ანგელოსი მოსული ღამით;
 იოქენ გაგიჩნდებათ აე საყარელი
 და ძეს უწოდეთ სახელი დავით.
 მაგრამ რა წამსვე აე გაგიჩნდებათ,
 გარდიცვლებითო სწორუპოვარნი“.
 რა დაორსულდა პურ-აზმარანი,
 მოყმემ მოიხმო ძენოვ ჰოვანი:

„ძენოვ ოპვანი, თუ აე შეყოლოს,
 დავით უწოდე, მე ვარ მსურელი.
 მე და აზმარან მოვკვდებით მალე,
 შენ უნდა გახდე გაუის მზრუნველი.
 შენს კისერზეა ბედი გაესა
 და უზრუნველჰყავ იგი ციურად,
 რომ ჩირალდანი სასუნის გვარის
 აღარ ჩააქრის მარადიულად“.
 წავიდა მჰერი — სასუნის მთაზე.
 ბედნიერი და მარიდმწყაზარი,
 იქ მოაშენა უცხო წალკოტი,
 წალკოტს უწოდა მან წავისარი.
 იქ მონაცტერიც ააგო ახლოს,
 ჩადგა ლამაზი თეთრი ტაძარი,
 ტაძარს მართუთას სახელი მისუა
 და შემოკიბა ყელა საყარი.
 კოჭი და ბრძანი შემოყვენა,
 სუსტა, უძლეურის მისეა ხაფური,
 შემდეგ წავიდა იგი სასუნში
 და ჩაბარა ბერებს ტაძარი.
 როცა ცხრა თვე და ცხრა დღე გაეიდა,
 და ცხრა ფარიცა დრომა გაუანდა,
 ანგელოსთაგან თქმულის თანამდევ
 პურ აზმარნმა ვაკი დაბადა.
 რა დაბადა ვაკი გმირის,
 იყო სასუნში ლხენა ხალხისა,
 მაგრამ მჰერი და აზმარან მოკვდნენ,
 როგორც ლმრლვენდ უფლის

აღოშისა

დაცითი მზევესი

სალაშონ ხანჩე დამრუნდა ოპან,
დავითის უძმბო გარეონაზელი:
„შვილო, შენც ხედავ ცხოვრება
გვიკირს,

გვაკლია სარჩო და ჭირნაზელი.

მოღი, სისოფლო მწყემსაღ დადექი,
გაგვიმრავლდება სახლში დაფუჭული;
ფეტვიც გვექნება, ქრიკი, ხორბალიც,
სახე ზამთარი და გაზაფხული!

„რატომაც არა! — გახარებულმა
დავითმა ბიძას უთხრა ხალისით, —
კაცი ზორბეკი, უწინო, უწინარა,
ამ უნდა იყოს შესაბალისი.

ქვეყანა გიცნობს სასუნელები,
გრძენენიებენ ქება-ჭარებით.
წალი, უთხარი — დაძრან ფარები,
საქმეს გულდაგულ მოვაკიდები.
განთიადისას ფეხზე ვიქნები,
როცა ხეებზე ულერენ ჩიტები!

ძენი ოპან წუხილს დაეხსნა
და შეის მოურის ჟულის იარა.
მან უკელის მოქნო და მოწოდებით
კარიდან კაჩე ჩამოიარა:
„წულს პიყვანოთ მწყემსაღ დავითი,
მას ჩავაბაროთ ჩეგნი ფარები!“
„აგვიყვანია!“ — შესახა ხალხმა
და სიხარულით გახსნა კარები.
უდილოთ გაჩერებს და საღამოზე,
როცე მოველის მოიან ბილეებს, —
უკელის თავთავის ცხვარს და თკანს
კარიდან კაჩე ჩამოვგარიგებს!“
ოპან გამრუნდა ისევ დაკრითან
კმაყოფილი და გაკვირვებული,
ოთიო საწყაო ფეტვი და ჟურიც —
ფიხტრა ხალხისგან დაპირებული:
„ხელფას კაჩე, პირობა კაჩე,
ოუ მოუარე, რახაც გაბარებო!“
„ისე მოველი, როგორც უკერალებს
და ციფ ნიავსაც ამ მივიქმები!“
უთხრა დავითმა სახელის დავითი
ასე მეტობების ჩამოვგარიგება.
